# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 37

წელიწადი პირველი

1912

ხუთშაბათი, 8 ნოემბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, შ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).


ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

## იმერეთი

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| ცალკე ნუმერი | შაურათ. |

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდი გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად. ფული და გაზეთის უკვეთივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“

**Антону Михайловичу Хеладзе.**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

---

პაიზე დაფუძნებული ამხანაგობა

## ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

### დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროაკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისათვის. სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, „მოტლანტა“ და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

---

5 გიორგობისთვეს, დილის 3 საათზე დ. ხონში თავის საკუთარ სახლში ხანგძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა ჩვენში ცნობილი საზოგადო მოღვაწე პატივცემული

### ივანე სიმონის ძე შარაშიძე.

გამოსვენება მოხდება კვირას, 11 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე. პანაშვიდები ყოველდღე 5 საათზე საკუთარ სახლში.

---

თანახმათ განსვენებულის სურვილისა

### გამსვენებელი კომიტეტი

ნაცვლად გვირგვინებისა მიიღებს შემოწირულებას ფულად ხონის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ განსვენებულის სახელზე

გამსვენებელი კომიტეტის თავჯდომარე ჯორბენაძე.

---

კნ. ვასასი აბაშიძისა და თ-დი ივანე ბეროს ძე ნიჟარაძე, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ქმრისა და მეორე სიძისა თავადის

### ალექსანდრე (საშა) სამსონის ძის აბაშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 8 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, საკუთარი სახლიდან, მესხეთის ქ. ბოლოში, სილის თავარანგელოზის ეკლესიაზე.

---

ქვრივი ანა მდივნისა, შვილები მისი ლევანი და მარიამი, დედა ანასტასია ლორთქიფანიძის ასული; ძმები: ვარლამი და ბიკტორ მდივნები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 8 ნოემბერს, დღით ხუთშაბათს 12 საათზე სოფ. ვაკისუბანში, წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### რაჟდენ ტარიელის ძის მდივნის

სულის მოსახსენებლათ.

---

სოფიო ივანეს ასული ლორთქიფანიძისა შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ქალიშვილის (წმ. ნინოს სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფის)

### ელენე იაგორ ლორთქიფანიძის ასულის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 5 საათზე, გამოსვენება მოხდება 8 ამ თვეს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, პოლიციის ქ., კ. ვარდოსანიძის სახლიდან, დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

კოწია სიმონის ძე გუნცაძე, მაიკო გუნცაძისა შვილებით; პავლე, ფადიმე, სარა, ვლადიმერ, რაჟდენ, აპოლონ და აკაკი ურუშაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე—რძლისა, მესამე და მეოთხე ძვირფასი ქალიშვილისა, ხოლო დანარჩენი დისა

### ლიუბა გუნცაძისა პავლეს ასულის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 10 ნოემბერს დღის 2 საათზე დაბა ლანჩხუთში. პანაშვიდები ყოველდღე 5 საათზე.

---

პროვინციის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

მანუფაკტურული საპარტიო სავაჭრო

## ამხ. „სამეგრელო“.

გაიხსნება 1 იანვრიდან 1913 წ. ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., მურალოვის შენობა.

---

### სოფლის მეურნეების საყურადღებოთ.

ამერიკული ვაზების დამყენელნი უნდა გაუფრთხილდნენ რუპესტრიზე ნამყენების დარგვას; აგრეთვე უნდა მოერიდონ სველ ნიადაგზე, მძიმე თიხნარსა და მაგარ თიხა ნარევ მიწებზე ნამყენების დარგვას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზი მალე დაავათმყოფდება;

ყოველგვარ რჩევას უფასოთ იძლევა

შ. ტიეზო ქუთაისში.

---

## კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1912 წლის 30 ნოემბერს 1-ლი კავკასიის სამთო ოლქის ინჟინერის სტ. სოვ.-ის აბრამ გრიგოლის ძის ცეიტლინის თავჯდომარეობით ქალ. ქუთაისში მოწვეულია შორაპნის მაზრის შავიქვის

### მრეწველთა კრება,

რომელზეც უნდა გაირჩეს შემდეგი საგნები:

1. კრების მდივნის არჩევა.

2. ანგარიშების განხილვა: ა. საბჭოსი, ბ. სარევიზიო კომისიისა, გ. იმ კომიტეტისა, რომელიც პლატფორმებსა და ჭიათურის რკინის-გზის ვაგონებს აწესრიგებს.

3. სტატისტიკური ცნობების განხილვა მაღაროების წარმოებისა, რამდენი მადნეულია მოგროვილი რკ. გზ. სადგურზე და რამდენი გააქვთ, რა საშვალებით გააქვთ ჭიათურისა და მთავარ ლიანდაგზე არსებული საწყობები.

4. რომანოვთა სამეფო გვარეულობის სამასი წლის დღესასწაულის აღნიშვნა.

5. შავიქვის დასატვირთავათ ბათომში ელევატორის მოწყობა.

6. სამრეწველო მიდამოში მისავალი რკინის გზის ლიანდაგის დაგება.

7. მაღაროებში წყლის გაყვანა.

8. ჭიათურაში საბჭოს საჭიროებისათვის შენობის აგება.

9. მდ. ყვირილისა და რიონის დაცვა გაბინძურებისაგან.

10. **რკინის გზის საქმეები:** ა. საბჭოს ნება მიეცეს ისარგებლოს მთავარი ლიანდაგის ტელეფონებით, ბ. სამგზავრო ვაგონების უკეთ განათება, გ. პატარა ჭიქოურაში სადგურის მოწყობა, დ. შორაპნის სადგურის გადიდება, ე. დარკვეთისა და ჭიათურის სადგურებ შუა მეორე გზის გაკეთების დაჩქარება, ვ. ჭიათურაში საქვეითო გასადები ხიდის მოწყობა, ზ. ჭიათურის გზების მოხრეშვა და წესიერათ დაცვა, თ. ჭიათურის ბილიკებისა და საწყობების განათება, ი. სასადგურო ტარიფის დაწესება, როგორც მგზავრებისა ისე ყოველგვარ საქონელზე გარდა შავიქვისა, კ. სხვა საკითხებიც მადნეულის გადატანის გასაუმჯობესებლათ.

11. მაღაროების მრეწველთა მუშების უზრუნველყოფა საქიმო საშუალების დახმარებით.

12. სამრეწველო საავათმყოფოს გაფართოება და მიდამოებში საფერშლო ადგილების დანიშვნა.

13. მუშების დაზღვევის ორგანიზაციისა და ახალი კანონით საავათმყოფო კასების მოწყობა.

14. ჭიათურის „პოსადათ“ გარდაქმნა და მარტივი თვითმართველობის შემოღება.

15. ჭიათურის საქალაქო შკოლის გადაკეთება სამთო ტეხნიკური განყოფილებით.

16. ჭიათურის საქალებო შკოლის საბჭოს მიერ თავის მფარველობის ქვეშ მიღება.

17. სათადარიგო თანხის დაწესება საბჭოს სხვადასხვა საჭიროებისათვის.

18. 1913 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

19. თანამდებობის პირთა არჩევა.

---

**ჭიათურის** შავი-ქვის სარეცხ მექარხნეთა საყურადღებოთ: სატრიალებელი ღვედები Т-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ჭიათურაში: ძმ. შ. გ. და მ. ლომაძე.

---

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.

თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

---

**აქიმი** ი. ტოგონიძე იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საზებით ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ხიდინგაროვის სახლებში.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

### მ. გალანჩივაძისა.

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, სამქიმო ვარჯიშობით, განქვეშ შესამზადებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა აქიმი ს. ლორთქიფანიძის სახლი.

---

### ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

---

### აქიმი ი. ჩარექოვი.

დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

---

**აქიმი** შ. ს. ფეშინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს.

გოშპიტლის ქუჩა.

---

### ქირავდება

ერთი ოთახი, თფილისის ქუჩაზე ლუთერანთა საკრებულოს გვერდით. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში.

---

**აქიმი.** ვ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული

გადმოვიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

# დ ღ ი უ რ ი.

— რუსის ელჩს ხონთქართან ხანგრძლივი ბაასი ქონია.

— ავსტრიამ შეუთვალა სერბიას 48 საათის განმავლობაში შემატყობინე—რა ბედი ეწვია ჩემს ელჩს პრიზრენშიო.

— ბერძნებმა ათონი აიღეს.

— ბულგარელებმა ჩატალჯის 6 მნიშვნელოვანი ფორტი აიღეს.

— დერკოსთან შეტაკების დროს ბულგარელებმა კარა-ბურუნი და ილდიზ ტაბიუ აიღეს.

— ჩატალჯში ოსმალეთის ჯარის მდგომარეობა კრიტიკულია.

— ჩატალჯის პოზიცია აიღეს, რის გამოც სტამბოლისკენ გზა გაიხსნა.

— გადაწყდა უსკიუბი სერბიის მეორე სატახტო ქალაქათ გამოაცხადონ.

— ბულგარელები სტამბოლს უახლოვდებიან. გადაწყვეტილი აქვთ შევიდენ სტამბოლში.

— სტამბოლში ორასი აფიცერი, ჯარიდან თავის ნებით გამოქცეულნი, სიკვდილით დასაჯეს.

— ჩატალჯში 3000 კაცი ხოლერით ავათ გამხდარა.

— ალბანელებს, ალბანეთის ავტონომია გამოუცხადებიათ.

— შავმთიელმა და სერბიის ჯარებმა ალექსიო აიღეს.

— პეტერბურგში ცნობილი მაცოხის საქმის გარჩევა ოთხ დღეს გაგძელდება.

— ბულგარეთი პარიზელ ბანკებთან 30 მილიონიან სესხისთვის მოლაპარაკებას მართავს.

— ბახმუტში „პოტემნი“ პოლკის ორგანიზატორი ლიუცკევიჩი გადაიცვალა.

— სოფელ ხიდისთავში ავაზაკებს დილიჟანიდან 1200 მანეთი გაუტაციათ.

— ავსტრიაში დიდი მზადებაა. ომისთვის ჯარს საზღვრებზე აძლიერებენ.

— ბულგარეთის სამშვიდობო პირობები შემდეგია: დათმობა ადრიანოპოლის, სკუტარის, იანინისა და მონასტრის; აგრეთვე ჩატალჯის ჯარის კაპიტულიაცია, სტამბოლის ოკუპაცია, დარდანელის გახსნა და კონტრიბუცია.

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

ივანე შარაშიძის გადაცვალების გამო დ. ხონიდან შემდეგი შინაარსის დეპეში მივიღეთ:

„5 გიორგობისთვეს, დილის სამ საათზე თავის საკუთარ სახლში, ხანგრძლივ ავათმყოფობას შემდეგ გადაიცვალა ჩვენში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე სიმონისძე შარაშიძე, რომლის გამოსვენება საკუთარი სახლიდან ხონის წმ. გიორგის ეკლესიაზე დანიშნულია კვირას, 11 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე. თანახმად განსვენებულის სურვილისა, დამმარხველი კომიტეტი გვირგვინების ნაცვლად, ფულით შემოწირულებას მიიღებს ხონის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ“. კომიტეტის თავჯდომარე ჯორბენაძე.

✦ ფოთიდან პატ. „სლედოპიტის“ წერილი მივიღეთ, რომელიც აშფოთებულია იმის გამო, რომ რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ქართველები აღარ მიიღოს სამსახურში და ვინც არიან ისინი არ დააწინაუროს, შეავიწროოს კიდეც და აიძულოს სამსახურიდან გავიდენ. არახალია —ძველია ასეთი ამბები...

✦ ადესაში მ. რატიანს ლ. ცაგარელს ა. ცხვედაძეს და მ. ნახუცრიშვილს გაუთავებიათ მედიკური ფაკულტეტი.

✦ გუშინწინ თფილისში დაიხურა მებამბეთა კრება. ვატაცის ნამესტნიკის სახელით კრებაზე მონაწილეთათვის მადლობა გამოუცხადებია.

✦ ტაგიევის საქმეს თფილისის სასამართლო პალატა 1913 წ. 10 იანვარს გაარჩევს.

✦ სენატმა დაამტკიცა სიმონ დოლონაძის საქმე. მისი ბრალდების ოქმი გადმოგვცემს: 1907 წელს სიმონ დოლონაძე ქუთაისის გუბერნატორის იაზიკოვის განკარგულებით, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრობისთვის ციმბირში გაიგზავნა. დოლონაძე ციმბირიდან თავისი ნებით დაბრუნებულა და მალულათ ისევ ქუთაისში უცხოვრია. გზაზე მას ერთხელ ორი დარაჯი შეხვდომია; დარაჯებს მისი ვინაობის გაგება მოუნდომებიათ მაგრამ დოლონაძეს შეკითხვაზე ყურადღება არ მიუქცევია და გადგომია გზას. დარაჯებს განუზრახავთ მისი დაჭერა, მაგრამ დოლონაძეს ერთი მათგანი რევოლვერით მოუკლავს და მეორეც დაუჭრია. ამას შემდეგ. ის იქვე შეუპყრიათ მაძებარი პოლიციის აგენტებს გაუგზავნიათ ქუთ. სატუსაღოში და შეუდგენიათ ოქმიც. ამისათვის ქუთ. -ოლქო სასამართლომ მას რვა წლის კატორღა გადაუწყვიტა. დოლონაძე ამ მოკლე ხანში ქითაისის სატუსაღოდან რუსეთის საკატორღო სატუსაღოში გაიგზავნება.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ილია ლომთათიძის საქმე. მას ოცი წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი.

✦ სენატმა დაამტკიცა 70 წლის მოხუცის დიმიტრი ჩიგოგიძის საქმე. მას ბრალდებოდა სოფლის მამასახლისის მოკვლა, რისთვისაც სასამართლოსაგან გადაწყვეტილი აქვს რვა წლის კატორღა.

✦ 4 ნოემბერს, ქ. საგუბერნიო სატუსაღოდან გაიგზავნა ზუგდიდის სამაზრო სატუსაღოში გამოძიებაში მყოფი ტუსაღები: ბიქტორ ლაზარია, ვასილ ცხვიტარია, სოკრატ შამათავა, ჩანთა კედია, დავით ზაქარაია და მინადორა კუჭუხიძისა. სადაც ახლო მომავალში მათ საქმეს გაარჩევს ოლქის სასამართლო.

✦ 5 ნოემბერს, საგუბერნიო სატუსაღოდან თფილისში სამუშევრათ გაიგზავნა ვადიანი ტუსაღები: ანტიმონ სულავა, რაჟდენ ცანავა, მიხეილ პაპისოვი, სედრაკ სარაპეტოვი, დანიელ ხოტოველი, ტრაფიმ ჯაში, გალაკტიონ თედორაძე და ბაგრატ ცნობილაძე.

✦ ამავე სატუსაღოდან გაიგზავნა პეტროვსკის ტუსაღთა გამასწ. რაზმის განყოფილებაში ტუსაღი ამბა ეზუგი.

✦ 4 ნოემბერს ქ. საგუბერნიო სატუსაღო საავათმყოფოში ჭლექით გადაიცვალა თედორე პეტროვი, კოსტრომის გუბ. მცხოვრები. მას ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ქონდა გადაწყვეტილი სიყალბის ჩადენისთვის.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართულიგ იმნაზიის პედაგოგიური რჩევა ულრმეს მადლობას უძღვნის თ-დ დავით ოტიას ძეს ნიჟარაძეს, რომელმაც შესწირა გიმნაზიის ბიბლიოტეკას ძვირფასი და იშვიათი გამოცემა „Акты Кавказской археографической комиссіи“.

### მოწერილი ამბავი.

**ს. ფარცხმა (გურია).**

წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ სამრევლო შკოლას გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“, რისთვისაც ამ შკოლის მასწავლებელი ი. ხომერიკი მას ულრმეს მადლობას უცხადებს.

**ს. თუზი. (ზემო იმერეთი)**

1909 წელს ლევან აბაშიძემ შინაურულათ მიყიდა გლეხებს რამდენიმე ქცევა მიწა. ამას შემდგომ მას 3068 მანეთის ვექსილი მიუცია თავისი ცოლისათვის. ცოლს ქმრისათვის უჩივლია და იბრუნებს იმ მამულს, რომელიც ლ. აბაშიძემ გლეხებს მიყიდა.

ამ გარემოებამ გლეხები ძლიერ ააღელვა, რის გამოც მათის შიშით ლ. აბაშიძე გარეთ ვერ გამოდის.

**ს. რგანი. (ზემო იმერეთი)**

ს. რგანი ჭიათურიდან 5—6 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ეს სოფელი ჭიათურის რაიონის ყველა სოფლებზე ქონებრივათ მაღლა სდგას. ძვირათ ნახავთ გლეხს, რომელსაც 2—3 ქცევა შავი ქვა არ ჰქონდეს. ზოგიერთნი შავიქვის სარეცხელ მანქანას იძენენ და ქარხნებსაც კი აარსებენ. სამწუხაროთ ეს მდიდარი სოფელი მოკლებულია ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის: კოოპერატიული საზოგადოება, სასოფლო ბანკი, სამკითხველო და სხვა დასხვა.

ს. რგანში, მხოლოდ ერთადერთი კულტურული დაწესებულება—სამინისტრო შკოლა არსებობს, ისიც განსვენებული ნიკო ლოლობერიძის თაოსნობით არის დაარსებული.

# ივანე შარაშიძის გარდაცვალების გამო.

ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ შემდეგი სამძიმრის დეპეში გაუგზავნა წ.-კ. საზ. ხონის განყოფილებას: „ქუთაისის ქართული გიმნაზია შეძრწუნებულია დაუვიწყარის ივანე შარაშიძის გადაცვალებით, რომელმაც მთელი სიცოცხლე შესწირა დაბა ხონში სწავლა-განათლების გავრცელებას“.

———

უსაზღვროთ შეგვაწუხა საზოგადო მოღვაწის ივანე სიმონის ძის შარაშიძის გადაცვალებამ. ამ პატიოსანი ადამიანის სიკვდილით ხონის საზოგადოებამ დაკარგა მხნე, უანგარო მუშაკი, რომლის მეოხებით დაარსდა ხონში მრავალი შკოლა. იგი დიდიხნის განმავლობაში სათავეში უდგა ხონის კულტურულ დაწესებულებათ. ივ. შარაშიძემ მთელი თავისი სიცოცხლე და პირადი ბედნიერება შესწირა საზოგადო საქმეს და თავის სამშობლო დაბის კეთილდღეობას.

კურთხეულ იყოს შენი სახელი და საუკუნო ხსენება შენი, პატიოსანო მუშავ და კეთილშობილო ქართველო.

თედოსია და სიმონ ქგარიანები.

# „ორი სიტყვა თემს“.

ბატ. გრიგოლ დიასამიძესა და იმის ახალ შეძენილს თემს—დასელებსა და ბელტ-დირბელებს, ეტყობა ეჭვის თვალით შეუხედავთ ჩვენს გაზეთში დასტამბული წერილისათვის, რომელიც ბელტის საპასუხო იყო და ხელმოწერილი იყო—„ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია“. საჭიროა ვიცოდეთ, მთელი კორპორაცია არის ამ აზრისა, თუ მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელიო. საჭიროა აგრეთვე პროტესტს ხელი მოაწერონ ავტორებმაო.

დამშვიდდით, ბ. გრიგოლ, და დაამშვიდეთ თქვენი ახალი თემი.—ჩვენს საბუთზე ქართული გიმნაზიის ყველა მასწავლებელს უწერია ხელი, რიცხვით ოცდათუთხმეტს კაცს. ეს თქვენ მიერ შეთხზულ საპროტესტო ეპისტოლებს არა გავს!

„ძვირფას აკაკისა და გაზ. „თემს“ (რატომ ძვირფას „თემსაც“ არა?) უმართებულო კილოთი უმასპინძლდებიანო... ასეთი აშფოთება სრულიად ბუნებრივია და ამისთვის საჭირო არ არის რომელსამე პარტიას ეკუთვნოდეო“.

მართალი ხარ, ეორე დანდენ! და სწორეთ ამას ჩვენს საპასუხო წერილზე ხელმომწერთა სია ადასტურებს და ის საეჭვო სია (?) კი თქვენ რო ბლომათ მოგეპოვებათ ამასვე დაადასტურებდა? რა თემის ხალხი იქნება შიგ?

ლექსი „ვაშა დეპუტატს“ მოურიდებლად და გულ[illegible] „იმერეთს“ თფილისიდან მიუღია და დასტამბა.

კიდევ დამშვიდდით ბ. გრიგოლ! ეს ლექსი ჩვენ დიდიხანია ხელთა გვაქვს. აქვე შევიძინეთ ქუთაისში, და, მარჯვე დრო როცა ვნახეთ, დავსტამბეთ კიდეც. ვის ვაწერთ ამ ლექსს, ეს „თემის“ რედაქციამ თუ არ იცის, ჩვენზე იყოს.

დამშვიდდით, ბ. გრიგოლ! რა შუაშია კოლო, პოლონელთა კოლო?! განა მარტო ამის გამოა ეს ლექსი დაწერილი? რა გულუბრყვილო ხართ.—ჩვენ იქნება მოურიდებელი ყიყოთ, მაგრამ თქვენ უფრო მეტი მორიდება გმართებთ ამ ლექსის ავტორის წინაშე—აზრს ნუ წაართმევთ ლექსს, და აზრი კი გამომხატველია იმ თვალსაზრისისა, რომლითაც გამსჭვალულნი არიან ისინი, ვინც თქვენ შეივრდომეთ, დაიძმობილეთ დღეს...

# ცოტა რამ

### ქუთ. ქალთა საზოგადოების შესახებ.

ჯერ ჩვენი საზოგადოება ახალია, ბევრი [illegible] ჯერ-ჯერობით. უკანასკნელი პარასკევის კრება გაცილებით შინაარსიანი იყო, ვიდრე დანარჩენი.

კრებაზე, დიდათ პატივცემულმა, ქ. ეკ. გაბაშვილისამ მოკლეთ გაგვაცნო თფ. ქალთა საზოგადოების სახელოსნო შკოლის ისტორია და გვირჩია ჩვენც მათ მაგალითისთვის მიგვებაძა. შემდეგ ბ. ა. გარსევანიშვილმა წაგვიკითხა ქ. ეკატერინეს მოკლე ბიოგრაფია, გაარჩია მისივე რამდენიმე მოთხრობა და მოკლეთ დაგვისურათა მისი შემოქმედებითი ნიჭი. ამასთანავე წაგვიკითხა რუსულათ ნათარგმნი ერთი მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან.

შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ჩიტო შარაშიძის ასულმა. ბოლოს ისევ ქ. ეკატერინემ წაგვიკითხა სანიმუშოთ თავისი ორგინალური ნაწარმოები, რომელშიაც ნათლათ მოჩანს მისი შემოქმედებითი ნიჭი. უკანასკნელათ, კრებამ გადაწყვიტა აღენიშნა ეს სასიამოვნო დღე სასიქადულო მწერალი ქალის საჩუქრის მირთმევით. კრება დაიხურა.

ჩ. შ. ასულის სიტყვა მეტათ სყურადღებო იყო „ჩვენი ხსნა, მომავალი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, მხოლოდ მაშინ იქნება თუ ჩვენ მივიღებთ, ფართო თავისუფალ განათლებასო“. ქ. საზ. უმთავრეს მიზანს შეადგენს ფართო თავისუფალი განათლება, როგორც საზოგადოების წესდების დასაწყისშივე არის აღნიშნული, მაგრამ მეშინია ეს მარტო სიტყვებათ არ დარჩეს წესდების ფურცლებზე, ამიტომ არ უნდა დავზოგოთ შრომა და ენერგია, რაც შეიძლება ჩქარა შევუდგეთ მის განხორციელებას. ჩვენთვის უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი არის საშვალების უქონლობა, ურომლისოთ არაფერი არ გაკეთდება. ის საშვალებანი, რომელიც საზოგადოთ მიღებულია; სეირნობა-კონცერტ-საღამოების გამართვა და ქველ მოქმედთა ერთ დროული შემოწირულებანი მიზანს ვერ მიგვახწევიებს. ამიტომაც აუცილებელია მუდმივი წყარო გავიჩინოთ.

ჯერ-ჯერობით ამგვარ წყაროთ მიგვაჩნია კოოპ. ამხანაგობა. ქ. ეკატერინემ გადმოგვცა ისიც, რომ თფ. ქალებს ასეთი განზრახვა ქონიათ ამ ათი-თუთმეტი წ. წინათ, მაგრამ დაუშლიათ ჩვენ დიდებულმგოსნებს აკაკის და ილიას, იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი ქალები არ არიან ამისთვის მომზადებული და ვერ შეძლებენ კომერციული საქმის გაძღოლასო. რამდენიმე ხნის წინათ ასეთივე აზრი გამოსთქვა რუსეთში ქალთა ბანკის დაარსების შესახებ პროფესორ ოზეროვმა: „ჩვენ ქალთ ამისთვის მომზადება და ძალა არ შეწევთო“ (ვეცდები შემდეგ გავაცნო მკითხველთ რუსეთ-საზღვარ-გარეთის ქალთა ბანკების მდგომარეობა) მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა და ქალებმა რუსეთში უკვე სძლიეს ეს საძნელო საქ-

# რა ვქნა, რა ვქნა...

### ფსიხოლოგიური ეტიუდი.

ქუთაისში, ვიდამაც რო მოწაფეების ქალაქი დაარქვა, ახალგაზრდობის ლაპარაკის საგანს შეადგენდა ლამაზი ლენა. თეთრი ყირმიზი, ღრმა შავი თვალებით, თითქო ღამე მძინარე ტბაზე ჩირაღდანი აუნთიათო, რომელთაც დიდხანს შერჩათ ერთი თაყვანისმცემელისგან მითვისებული ეპიტეტი „ეგვიპტის თვალებისა“, გრძელი და ხშირი წამწამებით, რომელთაც ზედ გადმოდგომოდენ მოზიდული შვილდივით მოღუნული შავი წარბები, ლენა ბევრ ახალგაზრდას უფრთხობდა ძილს. და მათი სიზმრების მოუშორებელი თანამგზავრი შეიქნა. საღამოს ქუჩაში რომ გაივლიდა, აუარებელი თვალები მოსეირნეთა გაყვებოდა უკან და, საკვირველია, მას არადროს არ აშლია ფეხი, თუმცა კარგათ ამჩნევდა მომართულ თვალებს. ამაყი, ლამაზი ის გავდა რომაელ სარდალს, ახლოვნად დამთავრებულ ომს შემდეგ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს. ზოგიერთები და ნამეტნავად კი სოფლის დედაკაცები, ბაზრობიდან რომ შინ ბრუნდებოდენ ვერ მალავდენ თავიანთ აღტაცებას და გულუბრყვილოთ პირში წაულაპარაკებდენ:

— უი, დედა, შვილი მყავსო ამის ტრონმა უნდა სთქვას!, რა ქალია, შენიჭირიმე!..

ერთ ქალად მარტო მაგისი ტანადობა ღირს.

შურიანი ამხანაგები, რომელთაც მართლა ქონდათ საბაბი შურით ავსებოდათ გული მასწავლებლებსაც სწამებდენ კერძოობას, რადგან ლენა ყველაზე უკეთესს მოწაფეთ ითვლებოდა.

— ყველა მაგას უდგება და რა გასაკვირია იტყოდენ ისინი და მერე შეუდგებოდენ ლენას ძვირებს.

— გაადიდგულეს, აქებენ და ღმერთად მოაქვს თავი, ამხანაგებს არ კადრულობს, არაფრათ აგდებს.

— თქვენთან შედარებით მართლა ღმერთია—ეტყოდა ამხანაგებს ლიზა, ერთად-ერთი გულწრფელი ამხანაგი ლენასი. რაა რომ შურით გისკდებათ გული, რა დაავალეთ ახლა იმისგან რომ ითხოვთ, შურმა გაგასივათ და ყოველ ნაბიჯზე მის დამცირებას ფიქრობთ და იმისთვის ხომ არ ითხოვთ სამაგიეროთ ამხანაგობას. ის კი არ იტანჯება, აი, თქვენმა მზემ, მასე რომ ახირებიხართ ყველა, მაგრამ...

— გაჰმიდე ხმა, შე მეტიჩარა, რომ არ წამოეჩხირო არ იქნება... მოყვება პუტუნს, შენ თავზე გიჯობს დაიხედო, შე გომბიო, შენა... წაესლოდენ ლენას მოსარჩლე ლიზას ამხანაგები...

2.

ლენა გორდაძის ასულს დედმამა ადრე აუკვდა. თითქმის სულ არ ახსოვს. ობოლი სახლში წაიყვანა დედის მეგობარმა ქალმა ლიდამ, რომელსაც ხელში ჩაკვდა ლენას დედა. უკანასკნელი სურვილი საბრალოსი იყო, კარგად მოევლო ლიდას ბავშვისთვის უდედობა არ დაეჩნია, ერთად-ერთი შვილის უბედურება საფლავში არ ჩაეტანებია ცოდვათ.

— სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის, სხვას ვერ ვანდობ ბავშს, შენზე ერთდგული ვინ იქნება მისი, შენსავით, ჩემო დაიკო ლიდა, სხვა ვინ მოუვლის!..

ლიდა სირაძისა სწორეთ დედმამის მაგიერობას უწევდა ლენას, ამას ისიც ამტკიცებდა, რომ ბავშს ობლობა თითქმის არ უგრძვნია და მუდამ მხიარულათ იზდებოდა უცხო ოჯახში. რადგან ლენას მამა პროვინციაში მასწავლებლათ მსახურებდა, გიმნაზიაში მას უფასოთ ზდიდენ. შესაძლო იყო სრულ სახელმწიფო ხარჯზეც მიეღოთ პანსიონში, მაგრამ ლიდამ არა ქნა, ერთი იმიტომ რომ პანსიონს საზოგადოთ მწყრალი თვალით უყურებდა, ისედაც ობოლ ბავშს თავისუფლებას და სიცოცხლის ნიშანწყალს დააკარგვიებენო; მერე თითონ მას ყავდა ლენას კბილა ქალი ლიზა და ერთად სწავლა უფრო გაუადვილდებოდათ.

რაც დრო მიდიოდა ლენამ ისე შეაყვარა თავი ყველას ოჯახში, რომ მალე უმისოთ გაძლებაც კი არ შეეძლოთ —საყვარელი წევრი შეიქნა ოჯახისა.

ლიდას ყავდა უფროსი შვილი ვალიკო, რომელიც ლიზასა და ლენაზე ორი წლით უფროსი იყო, მაგრამ მაინც ერთად ათავებდენ გიმნაზიას.

გძელმა შემოდგომის ღამეებმა და ამ ღამეთა მოწყენილობამ აანთო პირველად ვალიკოს და ლენას გულში სიყვარულის ჩირაღდანი და გაიზარდა, გაიფურჩქნა უჭკნობი ყვავილი სიყვარულისა გაზაფხულის დღესასწაულზე.

რა აერთებთ მათ?

თითქმის არაფერი, ლენას მოწყენილი, მეოცნებე თვალებში მთელი სამყარო გადაშლილი, სამყარო თავისებური ჭრელი სიზმრებით მოქარგული.

ჟამის საზღვრების იქით უხილავს, მოუხიბლავს უცინის ლენას თვალები.

ვალიკო არ არის ღირსი ლენას სიყვარულისა.

— აბა როგორ გაიგებს ის ლენას სილამაზეს—იტყვიან გულდაწყვეტილი ვალიკოს ამხანაგები ლენაზე უიმედოთ შეყვარებულნი და, როგორც ჩვევია თითქოს ყველა ადამიანს, სწყევლიან თავიანთ ბედს, რომელმაც გაყო მათი ერთად სასიარულო გზა.

ლენას ოცნებას საგანი უნდა.

ლენამ სხვას უნდა მოუყვეს თავისი სიზმრები, ნათელი, ჭრელი სიზმრები, მისი გული გრძნობს ამის აუცილებლობას, დაე ნუ გაიგებს, სულ ერთია ლენამ უნდა გომოსთქვას, რაც გულზე შელელებია და ვერ იტევს და ახლოს ვალიკო, ლენა ხედავს მაში მეგობარს, საყვარელს!..

3

უკანასკნელათ კიდევ მოსულან გიმნაზიაში მოწაფე ქალები, რომ კურსის გათავების მოწმობა მიიღონ. ზოგიერთებს ჯერ კიდევ აცვიათ ფორმის კაბები, ზოგი თეთრებში გამოწყობილა. თითქმის ყველა აღელვებულია რომ შორდებიან გიმნაზიის კედლებს, სადაც გადიოდა მათი ბავშობის ნეტარი დღეები, რომელნიც აწი არას დროს არ დაბრუნდება. ზოგიერთებმა იციან, რომ ბავშობა ჭურჭელია ღვთიური სიხარულისა და ცხოვრების ფერხულში ისინი დაკარგვენ მხიარულ სახეს აგერ დერეფანში ერთი ქერა გოგონას არც კი შერცხვენია ცრემლებისა და სტირის, ამხანაგები სიცილით ამშვიდებენ, მაგრამ თვითონ ძლივს მალავენ ცრემლებს, გულზე მოწოლილი აღელვება ლამობს ცრემლებში დაბანას. ემშვიდობებიან მასწავლებლებს, კოცნიან, თითქმის ყველას დაურიგეს მოწმობები, ლენა განგებ ჩამოტოვეს უკან, რომ მოელაპარაკონ ჯერი იმაზეც მიდგა.

— ლენა, აბა, შენ იცი ქორწილში თუ დამპატიჟებ, თუ არ დაივიწყებ შენს მასწავლებელს.

— მე, ბატონო, არ ვთხოვდები.

— ხა, ხა, ხა.. ასე იციან ხოლმე ქალებმა ყოველთვის, მაშ არა, მე ვიც

მე, და ადესაში დაარსეს ბანკი, რომელიც იცავს, მხოლოდ ქალთა ეკონომიურ ინტერესებს. ბანკების დაარსება მომავლისთვის გადავდვათ, მხოლოდ თუ ჩვენ თანხმობა--ენერგიით შევუდგებით კოოპ. ამხანაგობის დაარსებას, ჩვენც აუცილებლათ დავძლევთ. ჩვენი წესდების პირველი და მეორე მუხლი, რომ სავსებით განხორციელდეს ვიმეორებ, ამისთვის ნივთიერი საშუალება არის საჭირო, ეს უკანასკნელი თუ იქნა ყველაფერი იქნება, ამიტომ სასურველია ქალთა საზ. ახლავე შეუდგებოდეს კოოპ. ამხ. მოწყობას, ავირჩიოთ ცალკე კომისია ამ საქმის ორგანიზაციულათ მოწყობისთვის, ,,რომელიც საზოგადოების გამგეობასთან ერთად იმოქმედებს.

ქალთა კოოპ. ამხანაგობის მაღაზია უნდა იქნეს ისეთი, სადაც განსაკუთრებით ქალებისთვის საჭირო ნივთებს გავყიდით, რომლის დაარსება უკვე გადაწყვეტილია ქალთა საზოგადოებიდან, თითოეული წევრი ამხანაგობის ვალდებული იქნება ამხ. მაღაზიაში იყიდოს საჭირო ნივთები და იქვე მიაბაროს შესაკერავათ სამკერვალოში. ამნაირათ ამხ. ორნაირი შემოსავალი ექნება. ასეთი კოოპ. ამხ. თუ კარგად დავაყენებთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ უზრუნველყოფს საზ. ნივთიერ საშუალებას. შემოსავლიდან დარჩენილი მოგება ხარჯებს გარდა მოხმარდება საზოგადოების დასახულ მიზანს, წევრეეი არ წაიღებენ ხვედრ დივიდენტს როგორც ეს მიღებულია საზოგადოთ ჩვეულებრივ კოოპ. ამხ.,არამედ დატოვებენ საზოგადოების სასარგებლოთ. ახლა თუ კერძო პირთ ვამდიდრებთ, მაშინ საზოგადოებას შეეძინება ჩვენგან დახარჯული ფულები.

დასასრულ მოვუწოდებთ ყველა ქ. ქალებს, ნუ დარჩებიან ჩვენი საზოგადოების შორიდან მაყურებელნი, ჩაეწერონ საზოგადოებაში წევრებათ და გამოვიჩინოთ მეტი გულშემატკივრობა მისდამი, ნუ გავამართლებთ მამაკაცების აზრს ქალების შესახებ, თუ ახალს ვერაფერს შევქმნით ქართ. ქალები ვიმაცადინოთ მიბაძვა სხვა ქვეყნის ქალების ,,რომელნიც თვალსაჩინო ნაბიჯით მიდიან წინ.

ტატა დარახველიძის ასული.

## ჟამსა მწუხრისას...

ჟამსა მწუხრისას, ჰოი სულო, ნუ შეშფოთდები!
იყავ უცვლელი, ნუ გატყდები, ამაყო გულო!
ოცნებავ ჩემო, ნუ დაჭკნები, გაშალე ფრთები...
მუზავ ლექსები მიკარნახე სასიხარულო!..

* * *

ჟამსა მწუხრისას, როს ფერმკრთალობს ჩემ-წინ კანდელი,
ხმა იმედისა არსით ისმის, ბნელა გარშემო,—
მაშინ... ოჰ, მაშინ იყავ, გულო, შეურყეველი..
სულო, დამშვიდდი! გზა მინათე, კანდელო ჩემო!..

მ. ელზაშვილი.

# ომი ბალკანეთზე.

## დეპეში.

**სტამბოლი.** ოტომანის სააგენტოს ცნობით დაუტუსაღებიათ 40 მანიფესტანტი, რომელთაც მანიფესტაცია პორტის მახლობლათ გაუმართავთ.

პორტამ ოფიციალურათ გამოუცხადა მცხოვრებლებს „ნუ დაეცემით სულით, ჩვენი ჯარი მედგრათ იცავს ჩატალჯის ლიანდაგსო“.

**რომი.** იტალიელთა გამოსვლას ბელგრადში, მეგობრული ხასიათი ქონდა

**ბელგრადი.** მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე შეიმუშავეს პირობები, რომელიც ოსმალეთს უნდა წარედგინოს. როგორც ამბობენ, ეს პირობები ოსმალეთს სრულ კაპიტულიაციას უქადის. მეფის მოსვლა ბელგრადში გადაიდვა სასხედრო ოპერაციების დასრულებამდი. მეფის მოსვლისთანავე, მინისტრთა საბჭო მისი თავჯდომარეობით მოკავშირეს სამეფოების მთავრობასთან ერთად, წინასწარ კრებაზე, განიხილავს ძველი სერბიის ახლანდელ მდგომარეობას,

**სერაევო.** სერბიელ პარტიების მოწოდების საპროტესტოთ, მამადიანებმა გუბერნატორის სასახლის წინ დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრანტები იმნის მღერით და ავსტრია—უნგრეთის სახელობაზე ურას ძახილით სასახლისაკენ გაემართენ.

**ბელგრადი.** მთავრობის ორგანო იტყობინება;—აღმოსავლეთის გზები რისტოვაცველესი, უსკიუბი და მიტროვიცა სერბიის ხელში გადავიდა და სერბიის საქონლის ტარიფი შემოიღესო.

ომიანობის დროს სერბიელებს სულ 15000 დაუჭრეს. სერბიელებს ტყვეთ წაუყვანიათ 10,000 ჯარის კაცი და 200 აფიცერი. არაკუევაცის იარაღის ქარხანაში შესასწორებლათ მოუტანიათ ოსმალეთის 18 ზარბაზანი და 2500 თოფი.

**ბელგრადი.** გაზეთი „პოლიტიკა“ სწერს: ავსტრია-უნგრეთი იმდენათ ცთილობს ალბანეთის ავტონომიისთვის, რამდენათაც ამითი მას სურს ბალკანეთის კავშირი ჩაშალოს. ეგეის ზღვაში გასვლა და სალონიკი ეს ნამდვილი პოლიტიკური კითხვაა და ბალკანეთის კავშირს არ შეუძლია ალბანეთის ავაზაკური ტომები გბნსაკუთრებითი უპირატესობით დააჯილდოვოსო. დღევანდელ ომში ალბანელები ოსმალებთან ერთად მოკავშირე სახელმწიფოებს ებრძოდენ. ისინი ძლეულნი არიან და იძულებულნიც არიან იარაღი დაყარონ. რაც შეეხება საკითხის კულტურულ-ნაციონალურ მხარეს, ბალკანეთის კავშირი მზათაა მისცეს ალბანელებს. ოსმალებს და ყველა ერს შესაფერი ეროვნული ავტონომია.

**ლონდონი.** „რეიტერ“-ს სტამბოლიდან ატყობიებენ: ხონთქარმა მიმართა თხოვნით დიდი სახელმწიფოების მეთაურებს ჩვენ საქმეში ჩაერიეთო.

**ხოი.** ოსმალებმა ხოი—სალონიკის რაიონი გასწმინდეს.

**ჩირიკა.** ჩიარიკის გუბერნატორათ ოსმალეთის ოკუპაციის დროს სპარსეთის ერთადერთი ერთგული კატურის ხანი დანიშნეს.

**ურმია.** ადგილობრივი საელჩოს ცხენოსანი ჯარი ოსმალეთს წავიდა. ურმიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში 150 ვერსის მანძილზე ოსმალეთის უმავთულო ტელეგრაფის სადგური ამოაჩინეს. ოსმალებმა ბარანდუზჩაი დატოვეს.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დელეგაციაში გარეშე საქმეთა სამინისტროს მომხსენებელმა ნაგიმ გააცხადა: გულითადი მწუხარებით ვღებულობთ იმ ხმებს, რომ ბალკანეთში მოხთა ინციდენტი, რომელსაც აგრესიული ხასიათი აქვს და საერთაშორისო ელემენტარულ დადგენილებათა უფლებების დარღვევას წარმოადგენს. ავსტრია-უნგრეთის ელჩის საჭიროებაზე უპატივცემულობის და ოფიციალური ცნობების უქონლობის გამო საჭიროა მინისტრისაგან საჭირო განმარტება მივიღოთო.

**სოფია.** დიდი ვეზირის, მეფე ფერდინანდისადმი დეპეშზე შემდეგი პასუხი მიიღეს: მთავრობამ მოკავშირე კაბინეტებს შორის შეთანხმებას შემდეგ პორტას აცნობა ჩვენ რწმუნებულები დავნიშნეთ და მივანდეთ დანიშნოს ოსმალეთის ჯარის გენერალი სიმუსი და ზავის პირობები გამოიმუშაოს.

ბულგარეთის მთავრობამ დიდი სახელმწიფოების ელჩებს შუამავლობაზე მადლობა გამოუცხადა და მოახსენა თქვენ თხოვნაზე ჩვენ არაფერის თქმა არ შეგვიძლია, რადგან ოსმალეთმა თხოვნით პირდაპირ მოგვმართა და პასუხიც მას უნდა მივცეთო.

**პრაგა.** მომხსენებელ წერილში პრაგის სავაჭრო პალატა ამბობს, რომ ავსტრიის ვაჭრული ინტერესები არაფრით არ შევიწროვდება სერბიამ რომ ადრიატიის ზღვაზე ნავსადგური აიშენოს. პირიქით დიდათ სასურველი იქნება თუ ბალკანეთის სამეფოები ავსტრიის მეგობრები იქნებიან ეს შექმნის ავსტრია-უნგრეთის ექსპორტისათვის უკეთეს პირობებსო.

# დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

### საზღვარგარეთი.

**ხანკოუ.** ურიცხვი ხალხის თანდასწრებით ავიატორი კუზმინსკი აფრინდა. ჩინეთის მთავრობამ კუზმინსკისთან ჰაერის ფლოტის მოწყობის შესახებ მოლაპარაკება გამართა.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** გაზეთი „ლუჩ“-ის მე-43 და გაზეთ“ სოვრემენნოე სლოვო“-ს მე 1737 ნუმრები დააკავეს შემდეგი წერილებისთვის: პირველი „ომი ავტონომიისთვის“ და მეორე „უღირსი გზა“.

**კიახტა.** ურკიდან დასავლეთ მონგოლეთში რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველათ ყაზახთა რაზმი წავიდა.

**ასტრახანი.** ბუზონის შავი ჭირით ავადმყოფი ბავში შეპყრეს.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ დღეებში პეტერბურგში ხმები გავრცელდა ზოგიერთ ოლქებში მოსალოდნელი მობილიზაციის შესახებ. ხმებმა ქაღალდების ფასების დაკლება გამოიწვია. „ოსვედომიტელნოე ბიურო“ აცხადებს—ეს ხმები ტყვილია ამით სურთ ხალხი აიღელვონო.

## რატომ დამარცხდა ოსმალეთის ჯარი.

ფრანგული გაზეთი „Les annales“-ში მოთავსებულია მეტად საყურადღებო წერილი პოლკოვნიკის რუსესი, რომელიც ამჟამათ ომის ველზე იმყოფება.

პოლკოვნიკი რუსე ამბობს—ოსმალოს ჯარი საშინლად დამარცხდაო. მტრებმა ყოველგან სძლიესო, ახლა მათ არა აქვთ არც სურსათი, არც იარაღი და ყველაზე უარესი კიდევ ის არის, რომ—სულიერმა სიმშვიდემაც ულალატაო.

რა ქნას ახლა ოსმალებმა? ვითამ შეაჩერებენ ბალკანეთის ჯარის წინსვლას? არა მგონია.

ციხე-სიმაგრეებს არაოდეს არ დაუფარავს არც ხალხი და არც იმპერია. ბევრგან ბულგარელებმა თათრების ციხეს მარტო რამდენიმე დივიზია შემოახვიეს, რომელმაც შიგ მომწყვდეულ ჯარს თვალ ყური უნდა ადევნოს.

დანარჩენი ჯარი გაშლილ ველზე მყოფ ოსმალებს დაეცა, და ბედიც აქ წყდება.

ომი მოითხოვს ნებისა და მოქმედების სიმტკიცეს, სიმაგრეს, ბოლკანელებს ეგ ღირსება კარგათ აქვთ განვითარებული. ოსმალებს კი ორივე აკლიათ.

ომის დაწყების დღიდან შეერთებულმა ძალებმა ერთსულოვანათ ამოქმედა. ოსმალეთს ამ ომში ადვილათ შეეძლო გამარჯვებია. მას ომის დაწყებას შემდეგ, მთელი თვისი ჯარი ანდრიანოპოლთან უნდა მოეგროვებია, და მაგარ ცენტრსა შებმოდა.

ცენტრი იყო ბულგარია. ბულგარიის ჯარი ვერ გაუძლებდა ოსმალეთისას. სხვა სახელმწიფოების წინაამდეგ კი მცირე დივიზიები უნდა გაეგზავნა, რათა მათი ჩქარი მსვლელობისათვის ხელი შეეშალა. მერე ამათ მიეშველებოდა ბულგარელებზე გამარჯვებული ჯარი, რომელიც დაეცემოდა ჯერ სერბიელებს, მერე ბერძნებს და შავმთიელებს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც ოსმალეთს გამარჯვებას მიანიჭებდა. მაგრამ ამისათვის ორი რამ იყო საჭირო: ცოდნა და ნებაყოფლობა. ოსმალეთის ღენერლებმა კი, მათდა საუბედუროთ, ეგ ღირსება ვერ გამოიჩინეს.

თავდაცემის ნაცვლად დამხვდურობა არჩიეს.

მაკედონია დაიკარგა, სალონიკი აღებულია, დღეს თუ ხვალ ბალკანის ჯარი სტამბოლს მიადგება. საწყალი ოსმალეთი როგორ დაისაჯა გერმანელებისადმი ფანატიკური რწმენის გამო.

გერმანელმა ინსტრუქტორებმა ოსმალოს ჯარი დაღუპეს.

ბოლოს რუსე დასძენს:

ბულგარელებს, სერბიელებსა და განსაკუთრებით კი ბერძნებს ჩვენი შკოლა გაუვლიათ.

მათი არტილერია ჩვენის მზგავსია. ომის ველზე კრუპის ზარბაზნები იმგვარათვე დამარცხდენ, როგორც საზოგადოთ გერმანელი ინსტრუქტორები.

დიანა.

## ბიბლიოგრაფია.

,,სამშობლოს აღწერა“ ს. რობაქიძისაგან შედგენილი (თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა).

ბ-ნის თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემის სიის როცა გადაიკითხავთ, უნებლიეთ მოგხვდებათ თვალში, რომ უმრავლესობა ამ წიგნებისა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთაგან არის შედგენილი: გუთანი, ქართული გრამატიკა, საქართველოს ისტორია, ქართული წერის დედანი, ლოცვანი, სამშობლოს აღწერა...

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას თითქო თავის მიზნათ დაუსახავს, რომ ჩვენი საპედაგოგიო ლიტერატურის—სახელმძღვანელო წიგნების ნაკლულევანება შეავსოს, და ბ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიას კი—მათს დროზე გამოცემასა და გავრცელებას ხელი შეუწყოს.

ყველა ზევით ჩამოთვლილი წიგნი მეტათ საჭიროა ჩვენი ღარიბი სამოსწავლო ლიტერატურისათვის და საკმაოთაც გავრცელებულია ჩვენს შკოლებში. მდგომარე სასწავლო წელს ახლათ გამოსული წიგნი ბ-ნი ს. რობაქიძისა—„სამშობლოს აღწერა“, როგორც გადმოგვცეს, უკვე ათასზე მეტი გაყიდულა, თუმცა სულ ორი თვეა, რაც იყიდება.

დიდი ხანია ჩვენს შკოლებს სამშობლოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო ეჭივრებოდა—და ბ. რობაქიძემ ეს საჭიროება სავსებით დააკმაყოფილა. მარტივი, სუბუქი ენა, რიგზე დაწყობილი აღწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ტომისა, თითოეული თავის ბოლოში შესაფერი კითხვები შინაარსის მოსაგონებლათა და გასამეორებლათ, რიგიანათ გამოსული სურათები საქართველოს თვალსაჩინო ადგილ-ტაძრებისა და სხვადასხვა ტომის ტიპებისა, წიგნის ბოლოში შესაფერი რუკა,—აი მოკლეთ ამ წიგნის დამახასიათებელი მხარეები.

სწორეთ მადლობისა და თანაგრძნობის ღირსი არიან როგორც ავტორები, ისე გამომცემელნიც, რომ ამგვარი საჭირო წიგნების შედგენასა და გამოცემაზე ზრუნვენ და ჩვენს მოზარდ თაობას ასე აუცილებელ სახელმძღვანელოებს აწვდიან.

საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთი წვრილმანი ნაკლულევანება, რომელიც ბ. რობაქიძის სახელმძღვანელოში შევნიშნეთ, მის მკითხველებს გავუზიაროთ.

„კომპასი არის რგვალი თუნუქის ყუთი, რომელსაც სახურავი მინისა აქვს“-ო, —ასე განმარტავს ავტორი კომპასს. ამგვარი განმარტება სწორი არ უნდა იყოს: კომპასი ყუთი კი არ არის (ისიც უთუოდ თუნუქისა!), არამედ ერთგვარი იარაღია, რომელსაც ცნობილი დანიშნულება აქვს.

წყალტუბო ზემო იმერეთში აქვს ავტორს ნაჩვენები (41 გვ.), როცა იგი ქვემო იმერეთშია.—მეფე ერეკლე 1796 წელს გადაიცვალაო, ნათქვამია 88-ე გვერდზე, როცა ნამდვილათ კი 1798 წელს გადაიცვალა.

ენა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მეტათ სუბუქი და ადვილათ გასაგებია, გრამატიკულათაც სწორი და კანონიერია, თუმცა იშვიათად შეცთომებიც შეგხვდებათ,—მაგალ.: „განაგებს ყოველგვარ საქმეს, როგორც მაგალ. გზების კეთება, ქალაქის განათება“ (გვ. 17); უნდა იყოს: გეთიბას, განათებას და სხვ. (რას განაგებს?).

სინოტიეს მიხედვით (გვ. 18) (=სინოტიის), კათოლიკები (=კათოლიკეები: გვ. 19), ყველა ქუთაისის მახლობლათ მდებარე სოფლებს (=ქუთაისის მახლობლათ მდებარე ყველა სოფელს (გვ. 23). ხილით ვაჭრობს. (გვ. 70) არ ითქმის, არამედ ხილს გაჭრობს; აგრეთვე ვაჭრობენ ყოველგვარი საქონლით (გვ. 88), უნდა იყოს: ვაჭრობენ ყოველგვარ საქონელს; „ტანსაცმელში გამოწყობილი“ (გვ. 76), უნდა იყოს: ტანსაცმლით გამოწყობილი;—„მონასტრები ვარძია, საფარა და ზარზმა“ (გვ. 102); უნდა იყოს: ვარძიის, საფარისა და ზარზმის მონასტრები.

არ არის სწორი ქართული აგრეთვე შემდეგი ფორმები და გამოთქმები: ყველა ქალაქები, ყველა ქუჩები, რამდენიმე დაწესებულებანი, ყველა სასწავლებლები და ეკლესიები მართავენ, დაცურავენ, აგზავნიან, ბაღებში და ვენახებში და სხვ.

რუკაშიც (=ქარტა) რამდენიმე შეცთომაა: კარსი (=ყარსი), ალექსანდრო-

მოლოზნათ წახვალ, არა, ხა, ხა, ხა!...

— მე, ბატონო, მასწავლებლათ მინდა წავიდე.

— ტყუილია, ტყუილი, ჩემო კარგო; შენისთანა ლამაზი გოგონა და მასწავლებელი? ისიც ჩვენ დროში? მაგრამ შენ კარგი გვარიანი ეშმაკიც ყოფილხარ, გამოტყდი არ გინდა დამპატიჟო ქორწილში და ესაა, სხვა არაფერი!..

ლენას სახეზე ალის ფერმა გადაკრა.

— თუ დამიჯერებთ, მართალს გელაპარაკებით, სრულიათ გულწრფელად, თუ არა და კიდევ თქვენი ნებაა.

— ვინ იცის იქნებ მართალიც არის, გაიფიქრა მასწავლებელმა. მაგრამ ახლა ისეა დაშორებული გამზდელი გაზდილზე, რომ მართლა ვერც კი გაიგებს მის გულის საიდუმლოს!..

* * *

ბევრი ეხვეწეს, ემუდარეს ლენას დარჩენილიყო ლიდას ოჯახში, მაგრამ გაჯიუტდა.

— ესეც მეყოფა, რაც ამდეხანს გაწუხებდით, ბარგათ გაწევით, ახლა მეც შემიძლია ჩემი თავი ვირჩინო, რათ შეგაწუხოთ?..

— გამოყრუვდები ქალო სოფელში, დაგლახაკდები, შენ კიდევ ბავში ხარ რა შეგიძლია იქ მოახერხო. შენ თითონ მოინდომე შენი თავის დაღუპვა და ეგ არის სწორედ.—ეუბნებოდა ლიზა ამხანაგს. ლენას შინაგანი ცხოვრება მისთვის დაფარული იყო, ვერ წარმოედგინა, რა უნდოდა ამ ქალს სოფელში, რომელსაც ყველაფერი უზრუნველყოფილი ქონდა, დაუმადლებელიმის ოჯახში. ლენა მაგრათ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, არ უნდოდა გადაეხვია.

აგვისტოში გაისტუმრეს ვალიკო უნივერსიტეტში. ლენა და ვალიკო თითქმის მთელი ღამე ლაპარაკობდენ ოთახში წასვლის წინ ღამეს.

— ადამიანო, რა ამოიჩემე ამ სოფელში წასვლა, არც ისე ბავში ხარ რომ ვერ მიხვდე, რა მოგელის შენ იქ, რა უნდა ქნა, რა უნდა გააკეთო გამოყრუებულ ხალხში, მაგის მოდა ოთხმოციან წლებში იყო.

— ვალიკო, ვალიკო თუ ყველამ მასე დაიწყო სჯა, რომ სოფელი გამოყრუებულია და იმას ვერავინ გაანათლებს,— ეს ხომ იმას მაჩვენებელია, რომ მუდამ წყვიადში იყოს სოფელი ჩაფლული. ეს საფთხობელა მანამ იქნება, სანამ ერთი მაინც არ გაბედავს ჩაეშვას ამ წყვდიადში და შეიტანოს ნათელი სხივი. და მერე ხომ არიან ახლა ისეთებიც, განა ცოტა მუშაობს ახლა სოფელში. ნუთუ ისინი ხალხი არ არის, მათ არ დასჭირებიათ სხვერპლი, შენ ხომ კარგად იცი რომ უსხვერპლოთ არ შეიძლება პატიოსნათ სამსახური სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მოიგონე რამდენი შეეწირა წმინდა სანთელად ხალხის კეთილდღეობას, და გავიწყდა, ჩვენ წინ რომ სისხლის მდინარე მიქროდა ამ სამი ოთხი წლის წინათ? და სხვებს არაფერს ელაპარაკებოდეს ჩაფერფლილი კოცონი მებრძოლთა ძვლებით ოდესღაც ანთებული. მე მიხმობს, მეძახის, და შემიძლია არ წავყვე იმის ძახილს? ჩემი სული მე არ მეკუთვნის, ის სისხლიანი ნაკვალევს მიყვება. შე ვისწავლი აქ, ვიკითხავ, შენც იმაცადინე და მერე ანთებული ჩირაღდნით ხელში წავყვეთ ბედის ძახილს!.

ლენას თვალები ცეცხლით ენთებიან, მას დაავიწყდა ვის ელაპარაკება, მისი თვალები შორს მიყვება იმ ბინდიან აჩრდილს რომელიც არ ასვენებს მას ძილში და ცხადათ და წინ ეხატება ნისლში გამოხვეული დალვრემილი სოფელი, რომელიც მას მოელის, ეპატიჟება. ფანჯარაში დილის სიომ ჩამოკრა, გააძრო შავი ტანისამოსი ხეებს და ცის აღმოსავლეთის კიდე მეწამულით შეიღება...

ამაზრზენმა სიომ დაუარა ახალგაზდებს ტანში, სისხლმა იგრძნო განთიადი და გაიცინა, ორი ტუჩი, რომელნიც დიდხანს ელოდენ ერთმანეთის შეხვედრას შემდეგ არ სცილდებოდენ. კოლხიდის ცის განთიადი იყო მოწმე მათი სიყვარულის ფიცისა.

ისინი დაშორდენ ერთმანეთს...

ტ. ტაბიძე.

(დასასრული ხვალ).

## ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში ფ. ს. ფილიპოვის

უოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ... გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და ვერცხლის ქვაბები, ყავადნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ... ვერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ... სუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი საორგანო ... კომბილებს. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.



## სავაჭრო სახლი გ. გოკიელის ძმ-ები სავაჭრო სახლი

## აუწყებს მომხმარებლებს, რომ მათ შემოუტანიათ დიდძალი საჭირო

### საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით ფასები დაუკლო. ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომი და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.


პოლი (ქართულათ გუმბრი); ელიზავეტპოლი (ქართულათ განჯა) და სხვ. ყოველ შემთხვევაში ორივე სახელწოდება მაინც უნდა იყოს მოხსენებული.

საერთოდ წიგნი მკითხველს სასიამოვნო შთაბეჭდილებას გვრის და არა მარტო სკოლებისათვის, არამედ ოჯახებისთვისაც ფრიად სასარგებლოა მისი შეძენა.

სულხანი.

## ნარევი.

### ახალი კალენდრის პროექტი.

(„Вѣстникъ Знанія“ № 19, 1912 წ.)

სხვადასხვა ხალხის სხვადასხვაგვარმა წელთ აღრიცხვამ ისეთი უხერხულობა გამოიწვია, რომ სულ ახალი წელთაღრიცხვის შემოღება შეიქნა საჭირო, რომელიც ადვილი და მარტივი იქნებოდა. პროექტები ძლიერ ბევრგვარი შეიმუშავეს. ერთი საუკეთესო პროექტი ბ. ბოიდომ შეიმუშავა, რომელიც აქვე მოგვყავს ბ. ბოიდოს პროექტით წელიწადი შეიცავს 13 და არა 12 თვეს, როგორც აქამდი ანგარიშობდენ. მეცამეტე—მზის თვე მოაწევს ივნისსა და ივლისს შუა. თითოეული თვე შესდგება ოთხი კვირისა და კვირა კი შვიდი დღისაგან.

ჩვეულებრივი, არა ნაკლიანი წელიწადი, შესდგება 364+1 დღისაგან და ეს უკანასკნელი დღე იანვრის წინ იქნება, ასე რომ არც ერთ თვეს არ მიეთვლება და არც სახელწოდება ექნება, ან შეიძლება ახალი წლის დღე ეწოდოს. ამ დღიდან დაიწყება კალენდარი. ნაკიანი წლის ბოლოს მიემატება ერთი (366-ტე) დღე, რომელიც, როგორც ახალი წლის დღე ისე ეს უკანასკნელი არ მიეთვლება არც ერთ თვეს, არც კვირას და ეწოდება ნაკიანი წლის უკანასკნელი დღე.

ქვემო მოყვანილი ცხრილიდან შეიძლება ნათელი წარმოდგენა იქონიოს კაცმა ასეთ კალენდარზე:

**1916**

ახალი წლის დღე

იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, მზის თვე, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 |
| ორშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 |
| სამშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 |
| ოთხშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 |
| ხუთშაბათი | 5 | 12 | 19 | 26 |
| პარასკევი | 6 | 13 | 20 | 27 |
| შაბათი | 7 | 14 | 21 | 28 |

ნაკიანი წლის უკანასკნელი დღე

ასეთი კალენდრის ღირსებას ყველა შეამჩნევს: თითოეული კვირა და თვე იწყება კვირა დღით და თავდება შაბათით. ასე რომ წინათვე იცი, რომელი რიცხვი რა დღეს მოუწევს.

ახალი პროექტის მაგალითისათვის 1916 წელი მოიყვანა ბ. ბოიდომ, ალბათ იმიტომ, რომ მანამდი კიდეც გამოირკვევა და სასურველათ დაბოლავდება სადაო საკითხი.

## ბ. გიორგი მუმლაძეს

### მისა და ბარათის გამო.

ბ-ნო გიორგი! ვინაიდან თქვენს მეგობარს დაუმახინჯებლათ ვერ გადმოუციათ თქვენთვის ჩემი ნალაპარაკევი თქვენს შესახებ, და ჩემი პასუხი ამ საკითხს არამც თუ ვერ გადაწყვეტს, არამედ უფრო გაართულებს, და ბოლოს

მაინც სამედ. სამართალს უნდა მივმართოდ, ამისთვის, თუ გულნატკენი ბძანდებით, გთხოვთ გამომიწვიოთ სამედ. სამართალში.

ასეთი წვრილმანებით რომ არ შევაწუხოთ არც რედაქცია და არც მკითხველი საზოგადოება, გაფთხილებთ,—ყოველივე შეკითხვები გაზეთის საშვალებით, შესახებ ამ საკითხისა, გარდა ნაჩვენები გზისა, ჩემგან უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ბარ. ს—ძე.

### წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ სიას. უღრმეს მადლობას ვწირავ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს წალენჯიხის სამრევლო ქალთა ღარიბ სასწავლებელს. შემომწირველთა სია:

უგანათლებულესი კნეინა ნიღიტორე ბაგრატიონისა ათი მან., უგანათლებულესი თ-დი დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი ათი მ., თ-დი ედიშერ ხიდორ ბეგიშვილი—ხუთი მ., № ერთი მან., სალომე ქიქინაძისა—ხუთი მ., ნინო მიქელაძისა—ხუთი მ., ვერა ალშიბაიასა—ხუთი მ., ნადია ქუთათელაძისა—ერთი მ., იასონ ყიფიანი—ორი მ., გიორგი დიდიძე—ერთი მ.

თავადი სევერიანე ლორქიფანიძე—ოცდახუთი მ., თ-დი სანდრო ლორთქიფანიძე—ხუთი მ., თ-დი ნესტორ ერისთავი—სამი მ., ნიკო გრიგოლიამ—მანეთნახევარი, სიმონ გ-ძე ჩიჯავაძე—ერთი მ., №—ერთი მ., ფ—მ შვიდი მ., №—ათი შაური. №—ათი შაური, №—ათი შაური, კნ. ივდითი გელოვანისა ორი მ., დავით ქლენტი—სამი მ., გრიგოლ დადიანი—ხუთი მ., ნ. დადიანი—სამი მ., ნადია დადიანისა—სამი მ., მ. მ.—ერთი მ., სალომე გურიელისა—ათი მ., ფეოდოსია მიქელაძისა—ხუთი მ., ცუცაკი მკურნალისა—ათი მ.

ა. კვიტაშვილი—სამი მ., დავითაია ერთი მ., №—ერთი მ., კ. დადიანისა—ერთი მ., თ-დ კოწია ფალავა—სამი მ., კ-ნა მატა ანჩაბაძისა—ხუთი მ., კ-ნა მანია ანჩაბაძისა—სამი მ., მიხა მასხულია—ერთი მ., ბესარიონ ჩაჩიბაია ერთი მ., ქიონია კედიასა—ერთი მ., მატრონა კედიასა—ერთი მ., აქიმი მუჯირი—ერთი მ., ლევან ჩიჩუა—ერთი მ., თვალთვაძის ასული—ერთი მ., დესპინე შ. ასული—ერთი მ., მადიკო ჯიქიასა—ერთი მ., ჩვახია შენგელიას ასული—ათი შაური. მაგდანა ეხვაიას ასული—ათი შაური. სოლომონ მიქაძე—ათი შაური, თეიმურაზ კაკაბაძე—ათი შაური, მწირი ბერი—ორი შაური, ალექსანდრე შენგელია—ერთი მ., სოფიო გვასალიასა—ერთი მ., ფარნა ფიჩხაია—ერთი მ. და ათი შაური, ვერა შავგულიძე—ორი მ., ანა მილოვარასა—ერთი მ., კაკო ზაქარაია—ორი მ., მანანა ნ. მაღლაკელიძის ასული—ათი შაური, ალექსანდრე ლონიძე,—ათი შაური, მარკოზ მაღლაკელიძე—ერთი მ. და ათი შაური, ლადი ადამია—ერთი მ., პელაგია შელიასა—ერთი მ., ე. ლოლუასა—ათი შაური, ნატალია შელიასა—ათი შაური, ტრიფონ თოხაძე—ერთი მ. და ათი შაური, მიხა მესხია—ათი შაური, კნ. ლევან—იგივე კიტი მხეიძე—ათი შაური, თომა ხვიტია—ერთი მ., ვ. ალშიბაია—სამი მ., არტემ მიქელაძე—ათი შაური, დავით კარტოზია—ერთი მ., გიორგი კვარაცხელია—ათი შაური. პ. მ. კედია—ათი შაური, სოლომონ დგებუაძე—სამი აბაზი, ანტონ გეგელია—ათი შაური, კოსტა კალანდია სამი შაური, ისიდორე იგივე ჩვაფალა სოგავა—ერთი მ., ნესტორ ცხონდია—ორი მ., ანტონ ქოსია—ათი შაური, თეოფანე შენგელაია სამი მ.

ვარდოვნა დადიანისა.

რედაქტორ-გამომცემელი

გ. ე. ჭელიძე


მიაქციეთ ყურადღება!

## გ. დ. კაჭკაჭოვის

### ახლათ გაღებული ფართლეულის

## მაღაზია

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველ დღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ფასათ და უვაჭროთ,

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება! მიაქციეთ ყურადღება!

## ძმ. ჩარექოვის საამხანაგო საფუტკრე,

რომელიც იმყოფება საბარგო სადგურის პირდაპირ მიაწოდებს მსურველთ ნამდვილ ბუნებრივსა და სურნელოვან ღია ფერის თაფლს, ვინც რამდენს მოისურვებს, გირვანქას 5 შაურათ.

## ალექსანდრე კოსტავას

### ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

ტფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.



## ლანჩხუთის წიგნის და კანცელარიის მაღაზია

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: **რვეულები, დღიური**, საუკეთესო **კალმები, მელანი, ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება საუკეთესო ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით კალანდაძე.

## ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმერეთი“

ქუთაისში

ამით აცხადებს ქართველ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან

## აკაკის ნაწერების — მე-II-ე წიგნისას:

ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებით. სხვათა შორის ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა

## „ვორონცოვი და მისი დრო“

სურათით.

ფასი ხელის მოწერით 50 კაპ., გამოცემის შემდეგ კი ეღირება 75 კაპ. წიგნის დაკვეთა შეიძლება თვით გამოცემის ხელმძღვანელთან: 1. ქუთაისი—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2. ბათომი—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“. 3. სოხუმი—მასწავლებელ ნიკო ჯანაშიასთან. 4. ოზურგეთი—ნოტარიუს თეოფ. ხუსკივაძესთან. 5. ფოთი—იოსებ კობრეიძესთან და სიმ. ორაგველიძესთან. 6 ახალსენაკი—წიგნის მაღაზია „სინათლეში“. 7. ზუგდიდი—აკაკის სახელობის ბიბლიოთეკაში. 8. ხონი—წ. კ. ს. ხონის განყოფ.—წიგნის მაღაზიაში. 9. ნაოდალევი—მასწ. პეტრე ჯალაგანიძესთან. 10. ოზურგეთი—წიგნის მაღაზია მ. თალაკვაძისა. 11. ჩოხატ. წიგ. მაღ. ს. თავართქილაძისა და გ. თავდგირიძესთან 12. ლანჩხუთი—წიგნის მაღაზია ვ. კალანდაძისა. 13 სუფსა—ვარ. ჩხაიძესთან. 14. სამტრედია—წ. კ. გ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში და ბუღალტერ გიორგი მუმლაძესთან. 15 ლაილაში—კოლა ალხაზიშვილთან. 16 ჭრებალო—სამკითხველოში. 17. წესი—სამკითხველოში ვანო ქიქინაძესთან. 18. ონი—ივ. კერესელიძესთან. 19. ტყიბული—მ. კბილაძესთან. 20. ხრესილი—სამკითხველოში ვარ. ჩიჩუასთან. 21. კურსები—სამკითხველო. 22. სიმონეთი—სამკითხველოში. 23. სვირი—სამკითხველოში. 24. ბაღდათი—სამკითხველოში. 25. დიმი—სამკითხველოში. 26. მუხიანა—სამკითხველოში. 27. ჟვირილა—ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. 28. ჭიათურა—გაზეთ. აგენტთან ის. შილაკაძესთან. 29. ხაშური—(მიხაილოვოში) წიგ. მაღაზია—ი. ყაჭიეიშვილთან. 30. გორი—„ქართლის“ რედაქციაში და წიგნის მაღაზიაში. 31. ბორჯომი—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. 32. მცხეთა—1 კლასის ბუფეტში ვარლამ გეგეჭკორთან. 33. ტფილისი—წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზიებში: „ცოდნა“ და „ნოვაია რეჩში“. 34 განჯა—1-კლასის ბუფეტში და მემანქანე შალვა მამულაიშვილთან. 35. ერევანი—ქ-ნ. ელენე ვირსალაძესთან. 36. ბაქო—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. ქართულ შკოლაში. 37. კავკავი.—ქართულ შკოლაში ტ ვარლამ ბურჯანაძესთან. 38. ალაგირი—ქართულ შკოლაში პ. მეტრეველთან. 39. პეტერბურგი—ა. არაბიძესთან (კარავანნაია ა, № 2). 40. მოსკოვი—ვარ. ხუროძე და მირიან ბასილაიასთან (ნიკოლაევსკაია — № 21) 41. ოდესა —სტუდ. გრ. კვიცარიძესთან.

კანტორა „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიცარიძე.

## გ. გორდაძის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

## ძმ. ე. და პ. სააკაშვილები

### ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რ კ ი ნ ე უ ლ ო ბ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყობ, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქუშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობანი ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარები მოწყობილება-ცემენტი, ალებასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობის.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.


ელექტრო-საბეჭდავი შრომისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.